NATIONAL FOOD AGENCY

Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2020.01.15 14:04:08 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №22/2020

ქ. თბილისი

„15“ იანვარი 2020 წ.

ერთის მხრივ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „მედიკალ ტექნოლოგი“** (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის **გია გოგბაიძის** სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ - “ხელშეკრულება”) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. “დღე”, “კვირა”, “თვე” - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. “მომსახურება” – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგან

1.5. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.6. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შესყიდვის ობიექტია ნარჩენების გატანა-დამუშავებასთან დაკავშირებული მომსახურების (CPV90510000) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს კუთვნილი სავარაუდოდ 500 კგ დოკუმენტების გატანა-გაუვნებელყოფა.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **900 (ცხრაასი)** ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ, მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართეველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

3.3. ხელშეკრულება ფინანსდება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული საკუთარი შემოსავლებით

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მომსახურება გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **3 სამუშაო დღის** ვადაში.

4.2. გასანადგურებელი პროდუქციის განადგურების ადგილია - გარდაბნის რ-ნი სოფ. მარტყოფი.

5. **მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირები არიან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

6. **ანგარიშსწორების პირობები**

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეული მომსახურების საფუძველზე, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, 10 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

7. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.2.2. დროულად მიაწოდოს შემსრულებელს გასანადგურებელი პროდუქცია;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

7.4. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ გააჩნია სრული უფლებამოსილება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისთვის;

7.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.5.1. განახორციელოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.5.2. შემსრულებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დამკვეთს მიყენებული ზიანი, მომსახურების ვადებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

8. **ხელშეკრულების კონტროლი**

8.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს საფინანსო და საბუღალტრო სამმართველოს მთავარი ბუღალტერი **გიორგი მამულაშვილი** და ადმინისტრაციული დეპარტამენტის ქონების მართვისა და სამეურნეო სამმართველოს უფროსი სპეციალისტი **დავით ბაქრაძე;**

8.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის(ების) ფუნქციაა გაწეული ან/და გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

8.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

9. **გარანტია**

9.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი, მომსახურების ამ სფეროში მოქმედი რეგულაციებისა და სტანდარტების შესაბამისი

10. ფასები

10.1. ერთი კილოგრამი ნარჩენების განადგურება-გაუვნებელყოფის ღირებულება შეადგენს **1,80** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

11. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისავის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო დაგვიანებით გაწეული მომსახურების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

11.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ასეთ შემთხვევაზე;

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% ოდენობით;

11.4. თუ ხელშეკრულების 11.1. და 11.2. პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1 %-ს, შემსყიდველ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

11.5. პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების/დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების არსებული ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დუძლეველი ძალის ზეგავლენით.

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14.3. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განხლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრლებისთანავე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 10 მარტის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	შპს "მედიკალ ტექნოლოგი"
ს.კ. – 205142 200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 კოდი: 220101222 ტელ: (+995 32) 291-91-65 (30*71)	ს.კ. – 404 384 590 მისამართი: ქ. თბილისი,ჯავახიშვილის №4 ტელ: 595 606 530; 579 911 566; 593 960 026 E-mail: medicalt2010@gmail.com მომსახურე ბანკი: ს.ს. „პროკრედიტ ბანკი" ბ.კ. – MIBGGE22 ა.ა. – **GE22PC 0133 6001 0005 3668**
სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი _____	დირექტორი _____ გია გოგბაიძე

მოამზადა: სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

შეთანხმებულია: საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **შპს „მედიკალ ტექნოლოგი“-ს** მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო